ცისკარი.

1871

იულისი

წელიწადი მეთხუთმეტე.

7-12

წოდებათა თხზულებათა:

I.—უკანასკნელი დაქცევა (აოხრება) წმიდისა ქალაქისა იერუსალიმისა. (ისტორიული მოთხრობა). ალექსანდრე გარსევანოვისა.

II.—ახალი დრო. (ლექსი). კნ. ეკატ. ერისთავისა.

III.—ასანა ლეკის თავს გადასავალი. :: :: :: :: ::

ტფილისს.

მარტიროზიანის ტიპოგრაფიაში.

უკანასკნელი დაქცევა (აოხრება) წმიდისა ქალაქისა იერუსალიმისა.

12.

ალექსანდრე მაკედონელმან, აღიღო რა ბაბილონისა საგელმწიფო, სამას ოც ჲ თერთმეტსა წელსა ქრისტეს შობამდინ, ურიანიცა დაიპყრო მცირესა ხანსა. შემდგომ ალექსანდრე დიდის სიკუდილისა, ისრაილნი დაიპყრეს ეგვიპტისა (მისირისა) ჲ სირიის (შამის) მეფეთა; ეგვიპტისა მეფეთა წაასხეს თავის სამეფოში მრავალნი ურიანი, რომელთაგანთაცა სთარგმნეს ბერძულად ურიულისა ენისაგან წიგნები ძველის აღთქმისა, მეფის პტოლომეოს. ფილადელფის დროსა, ქალაქსა ალექსანდრიაში. ამისა შემდგომად თითქმის ას სამოც ჲ ათის წლის წინათ ქრისტეს შობამდინ, დაუწყო უწყალოდ შეწუხება ურიეებსა, იმათმა მეხობელმა, სირიის მეფემა ანტიოხე ეპიფანემა; იმას უნდოდა ურიეები მიექცია წარმართების ჭსჯულზედა. მრავალთა ურიათა ვერ მოითმინეს ტანჯვა ჲ ამის გამო დაუწყეს იმათს კერპებსა სამსახური. ეს იეო მიზეზი, რომ ურიის მეფეთის მაკაბეთას ჩამამაგლობამ, რომელთაგან [illegible] ძალნი, დაიჭირა ურიეების ქუეყანა, [illegible] მაკაბეთა

ანუ ასმონიანთა მეფობა დასრულდა ამით რომ სამოც
ჯ ოთხსა წელსა ქრისტეს შობამდისინა, რომელთა გა-
მოგზავნეს ურიეების ქუჟეანაში თავისი, სახელოვანი
სარდალი პომპეოს დიდი ჯ მით დაიმორჩილეს თავის
მონებას ქვეშა ურიები, ამისა შემდგომად რომაელნი
დაუნიშნავდნენ ხოლმე ურიათა მეფეებსა. ამ საფუძველზედ
დაუნიშნეს ურიეებსა მეფედ იროდი დიდი იდუმიელი,
კაცი მზაკვარი ჯ გამბედავი, რომლისა დროსა ბეშვა
ცისა ჯ ქუჟეანის შემოქმედი, ღმერთი იესო ქრისტე.
შემდგომად იროდის სიკუდილისა, რომის კეისარმა აგ-
ვისტომ გაჰყო ურიეების ქუჟეანა ოთხად ჯ ნახევარი
მისცა არხელაოსს იროდის შვილსა ჯ ორი წილი მი-
სცა სხუათა იროდის შვილებსა: იროდის ანტიპასა ჯ
ფილიპესსა. რადგანაც მეფე არხელაოს ექცეოდა სალ-
ხსა უწესალოდ, ამისათჳს აგვისტოს კეისარმა გაგზავნა
არხელაოს დაჭერილი ვიენაში, რომელიცა არის საფ-
რანგეთის (ფრანკიის) ქალაქი. შემდგომად ამისა რომა-
ელები გზავნიდნენ ურიეების ქუჟეანაში მთავრებსა (მთა-
ვარმართებლებსა), რომელთა შორის იყო, ტიბერი კე-
ისრის დროსა, პონტოელი პილატე, რომლისა ჟამსაცა
ჯვარს აცვეს ურიათა ქრისტე. უკანასკნელს დროსა, ესე
იგი ორმოც ჯ ოთხსა წელსა, ქრისტეს შობის შემდეგ,
რომის, კეისარმა კლავდი მისცა მეფობა ურიეებისა
უფროსსა ადრიპასსა, შვილის შვილსა დიდისა იროდი-
სასა, რომლისა სიკუდილისა შემდგომად, რომაელების
კეისრებმა (იმპერატორებმა) დაიწყეს გზავნა ურიეების

ქუჩუანაში თავის პროკურატორებისა ანუ მეფის მოადგილეებისა. გაგზავნილნი მთავარმართებლები, უფრო მომეტებული ნაწილი, აწუსებდნენ ურიეებსა სისარბითა, ვერცხლის მოყვარებითა ⸗ უწყალოდ მოპყრობითა, ასრე მწარედ ⸗ მოუთმენელად, რომ ურიეებმა აიღეს საომარი იარაღი ⸗ დაუწყეს წინააღმდეგობა რომაელებსა ⸗ ესრეთ უეცრად დაეცნენ იმათს პროკურატორსა ღესსია ფლორსა, გამწესებულსა ნერონ კეისრისაგან, წელსა სამოც ⸗ ექვსსა ქრისტეს შობითგან, ⸗ გამორეკეს იერუსალიმიდამ რომაელების მთავარი ⸗ იმისი ჯარი.

ვესპასიანე ფლაბი, რომაელების სარდალი წამოვიდა, დასამშვიდებლად ურიეებისა, პტოლემაიდიდამა დიდის ჯარითა. ვესპასიანემ აიღო ურიეების ქუჩუანა, გარდა იერუსალიმისა, რომლისა აღება ⸗ დაქცევით აოსრება უბრძანა, შემდგომად კეისრად არჩევისა თჯსისა, თავის შვილსა ტიტესა. მოწყალესა ტიტესა სურდა დაღუპვისაგან დაესსნა ურიეები, შეუთვალა რაოდენჯერმე იმათის მერჯულის, რომაელებისაგან დატყვეებულის სარდალის იოსებ ფლაბიანეს პირითა, რომელიცა იეოსიმველისა ⸗ ურიეების ომის მწერალი ისტორიეებისა), დამორჩილება ⸗ დანაშაულისა მათისა მიტევება, მაგრამ მოუდრეკელმა ურიეებმა არ დაიჯერეს ტიტეს სიტყუა, ამის მიზეზითა, რომაელებმა, შემდგომად შვიდის თვის გარეშემოდგომისა, აიღეს მაგარი ქალაქი იერუსალიმი, ათსა მარიამობის თვისასა სამოც ⸗ ათსა წელსა ქრისტეს შობიდგან ⸗ სრულებით გაოსრეს ⸗ საუკუნოდ

მოშალეს ურიეების მეფობა ჯ იმათი სამეფო დაამხეს სამუდამოდ, ჯ სახელი ურიეებისა ეოველს ქუჟეანასედ გაანიეს ჯ მოჭსდეს. ესე ეოველი უბედურება ურიეებს შეემთხვათ, იმ სახით, როგორათაც უწინასწარმეტყველა ქრისტემა, რომელიცა იმათ არ ირწმუნეს: «არა დაჭშთეს ქუა ქუასა ზედა.» ამას ქვემოთ წერილათ აღიწერება გაოსრება ურიეებისა ჯ იერუსალიმის დაქცევა.

როდესაც ვესპასიანეს კეისრის შვილი, ადამიანის მოუვარული ჯ მოწყალე ტიტე, მივიდა იერუსალიმში, დიდის ჯარითა, მაშინ ურიეებსა ჭქონდათ ერთმანეთში არეულობა, ჩხუბი ჯ კინკლაობა, ამის გამო იმათი ტაძარი (სალოცავი, საუდარი) იყო ცარიელი ჯ აოხრებული, მრავალი მღუდელთაგანი ჯ ერისკაცნი მოჭკლეს უწყალოდ, აიკლეს ერთმანეთის ჴერის ამბრები ჯ ხაროები, რომლისა გამო ურიეებსა ღონე მოაკლდათ ცხოვრებისა; გაუჩნდათ შიმშილობა ჯ დიდი შემულება ერთმანეთისა, ამისა გამო გასშირდა იმათში სიკუდილი ჯ აიმსო მკუდრის მმოვრითა იერუსალიმი, სადაცა ისოცებოდა ხალხი შიმშილისაგან ჯ ერთმანეთისაგან; მკუდრების სუნმა ააეროლა ქალაქი ჯ ჭაერი, მეტის მეტად ჯ გაუსაძლისებლად. ამდროს ანაზდად მიუხდა ტიტე იერუსალიმის გალავანსა, მაგრამ ურიეებმა დაუმარცხეს ჯარი ჯ უკან გამოაბრუნეს; გამობრუნებული ტიტე მოემზადა მეორედ, საომრად. ურიეებმა, რომ ნახეს საშინელი ჯარი რომაელებისა, იმათზედ გარეშემოდგომილი, დაანებეს თავი ერთმანეთის ჩხუბსა ჯ სო-

ცასა, შეიყარნენ ერთად, მოემზადნენ ⁂ თითონ მიუსდნენ რომაელებსა, იმათ სადგომში. რადგანც რომაელების ჯარი არ იყო ჯერ მომზადებული საომრად, ამის გულისათჳს უკან დაიწიეს, ⁂ იმათი ბევრი ჯარის კაციც გადავიდა ურიეების ჯარში, რომ თავი მოერჩინათ სიკუდილსა, ამ დროს ტიტე მოესწრო ⁂ იმის წინამძღვრობითა ურიეები ისევ შეამწუვდიეს რომაელებმა გალავანში.

ტიტემ გადაუსადა თავის ლაშქარსა მადლობა ⁂ უბრძანა კიდევ საომრად მომზადება. ვიდრემდისინ რომაელები მოემზადებოდნენ ომისათჳს, იერუსალიმში კიდევ დაუწყეს ერთმანეთს ჩხუბი ⁂ ხოცვა. უცომობის (ხეხის კვირაში) დღესასწაულში ტაძარში შეიყარნენ მრავალნი იარაღით შემოსილნი ურიეები. ზვარაკების სისხლის მაგიერად ერთმანეთის სისხლი დასთხიეს. მოუხდათ საზარელი ომი შიგ ტაძარში ⁂ არეულობა. ტიტემ იმ ურიეების უწესოებითა ისარგებლა: უბრძანა ჯარსა ამომსება თხრილებისა, რომელიცა იყო იერუსალიმის გარეშემო, ამისგამო ზედდასხმით აღება იერუსალიმისა გაუადვილდათ რომაელებსა. ურიეებმა არ მისედეს ამას, მოიგონეს ოსტატობა, მაგრამ უსარგებლო. აიღეს საომარი იარაღები ⁂ ზოგნი ქალაქს გარეთ დაიმალნენ, ⁂ ზოგნი გალავანსა ⁂ კოშკებს უკან, ამასთანავე გაუგზავნეს ტიტეს კაცები ⁂ ჭსთხოვეს, ნუ დაგვხოცამ ⁂ გალავნის კარებს გაგიღებთ მაგრამ ტიტეს, გამოცდილი ჭვევანდა პატიოსნებაში ურიეები ⁂ ამისთჳს

უარი უთხრა. იმდროს რავდენიმე ჯარის კაცნი, ტიტეს დაუკითხავად, მიუხდნენ იერუსალიმის ციხესა, უნდოდათ აეღოთ, რადგანაც დარწმუნდნენ ურიეების სიტყუასა ⸗ იმათგანაც ფიქრი არა ჰქონდათ, მაგრამ ისინი დახოცეს ურიეებმა ⸗ შექმნათ დიდი სიხარული, არა დიდის ხნისა. შემდგომად ამისა, იერუსალიმს შემოადგა დიდი ჯარი ასაღებად, ეოვლის იარაღებითა ⸗ რომაელების სამსედრო ოსტატობითა ⸗ ხელოვნებითა ⸗ ესე ზედმისვლა გალავანზედ ექმნა ურიეებსა დასამხობელად ⸗ გასაოხრებელად, სამუდამოდ.

ვიდრემდისინ იერუსალიმის ძალით აღებასა დავწერდეთ, უნდა ვსთქუათ რამე ქალაქისა ⸗ იმის სიმაგრის ნაშენობეებზედაცა. იერუსალიმი იეო აშენებული ორს მაღალს მთაზედა, შუაში ჰქონდა კარგი ⸗ განიერი ვაკე ადგილი ⸗ ერტეა გარეშემო სამი მაღალი ქვითკირის გალავანი, ის ორი მთა, რომლებზედაცა იერუსალიმი აშენებული იეო, ერთი მეორეზედ მაღალ-დაბალი იეო, რომლისაგამო ერთს მხარეს ერქვა ზემოქალაქი ⸗ მეორეს მხარესა ქვემო უბანი, ასე უმასდნენ ისრაელნი, ხოლო სხუა დაბალსა მხარესა უწოდებდნენ ქვემო ქალაქსა. გარდა ქვითკირის გალავნებისა, იერუსალიმს ერტეა ძალიან მაღალი, მაგარი ⸗ არსაიდამ მისავალი ხის გალავანი, ამისათჳს რომ შიში არა ჰქონდეთ მცხოვრებლებსა აღებისა; შიგა ⸗ შიგ ჰქონდა გალავანსა ბურჯები ⸗ კოშკები, სადაცა დაეტეოდა დიდძალი ჯარი მტრის მოსაგერებლად გარშემო შემოდგომისა ⸗

ომის დროსა. ამ ნაირი კოშკები ერთს გალავანსა ჰქონდა სამოცი ⁊ მეორესა ორმოცი. ამ ხელოვნებით გაკეთებულს სიმაგრესთანა, იერუსალიმსა ამაგრებდა თვით ადგილის მდებარეობაცა ⁊ იეო შეუვალი ქალაქი. იერუსალიმსა ჰქონდა ყოველს მსარეზედა, ძალიან ასლო, დიდრონი კლდეები ⁊ უგზო უკვლო ხევები ⁊ ხრამები; შიგ ქალაქში იეო მრავალი გამაგრებული ადგილები ⁊ შენობაები, ასე რომ შუა ქალაქში იდგა ქვითკირის ციხე, აშენებული მთამზედ მრავლის კოშკებითა ⁊ ბურჯებითა, ეგრეთვე ძალიან მაგარი მეფის სასახლეები, აშენებულნი იროდისაგან ⁊ სსუათა ჰირთაგან. რასაკვრველია, ამგვარი სიმაგრის მქონებელი ქალაქი ძნელი ასაღები იეო რომაელებისათჳს მაგრამ ტიტეს გონიერებამა ⁊ გამოცდილებამა იმის ჯარისამა სძლიეს ყოველთა სიძნელეთა.

რომაელთა ჯარის სარდალმა ტიტემა, რაკი ნახა ურიელებში არეულობა ⁊ ჩხუბები, დაათვარიელა იერუსალიმის გალავნები ⁊ უბრძანა ხიდების გაკეთება ღრმა თხრილებზედა ⁊ ხევებზედა, იქა, სადაცა ადვილი მისასვლელი იეო ციხეზედა. ნახეს რა ულიელებმა თავისი შეგიწროებული მდგომარეობა, ტეუილად ჰსთხოვდნენ რომაელებსა შერიგებასა. ტიტეს ბრძანებითა იერუსალიმის გარეუბნები დასწვეს რომაელებმა, ⁊ დაუწვეს ურიელებს შურდულით სროლა ქვებისა; სასროლი ქვები ჯერ ღრუბლის ფრად იეკნეს შედებილები ⁊ მერმე თეთრად დადებეს რომაელებმა; ამ ქვებით ძალიან ბევრი დასხა-

ცეს ურიელები, ამას გარდა ტიტემ სედ გალავანსედ მიევანა ჯარი ⁂ კედელის სანგრევის იარაღებითა დაუწყო ქცევა კედლებსა, მაგრამ მაგარი კედლები არ ინგრეოდნენ. საშინელმა კედლის ნგრევის ხმამა, გააღვიძა ურიელები, გამოუცვივდნენ რომაელების ჯარსა, თავ-გამომეტებით შეებნენ ⁂ გარეკეს ქალაქის გალავნებიდამა, დაუწვეს იმათგან გაკეთებული ხიდები ⁂ კედლების სანგრევი მაშინები (იარაღები). ამის გულისათჳს ტიტემ სასტიკად გარდაასდვევინა ურიელებსა, რომელნიცა, დაამარცხა რა, ძალა დაატანა, რომ ისინი დამალულიყვნენ გალავანში; რომელნიმე ურიანი ჯვარზედ აკრა ⁂ უბრძანა იმათს გვამებში შხამიანის ისრების დასობა.

ამისა შემდგომად ტიტემ უბრძანა ქალაქის გალავნის ახლო აშენება სამის კოშკისა, სიმაღლით თორმეტის მსრისა (საჟენისა) რომ იქიდამ თვალუური ადგენოს ურიელების შოქმედებასა. ის კოშკები ისეთი დიდები ⁂ უხარსულები ააშენეს, რომ თავის თავად დაიქცნენ. ტიტემ დაუწყო გალავანსა დანგრევა კედლის სანგრევის იარაღებითა ⁂ ძელებითა, ასე ძალიან, რომ კედელი აქა იქა დაინგრა, ჯარი მიეტანა გამოანგრეულებში შესასვლელად, მაგრამ ურიელები მაგრად დაუხვრნენ; შეექმნათ გაცხარებული ომი, დიდხანს ვერც ერთმა ვერ ავჯობა, ბოლოს-დროს რომაელმა ჯარმა დაამარცხა ⁂ დაინარჩუა პირველი გალავანი; ურიელები შეეფარნენ მეორე გალავანსა.

ტიტემ რომ აიღო პირველი გალავანი ქალაქისა,

მოემზადა მეორეს გალავნის ასაღებათა; დაუწყეს ნგრევა კედელსა, რომელმაცა დაიწყო აქა იქა დაქცევა, მაგრამ ურიების ოსტატობამ დაგვიანა გალავნის აღება, რამდენსამე ხანსა. რაკი ნახეს თავისი გაჭირვება, ურიები წავიდნენ თავიანთს სახლებში ბურის საჭმელად ⁂ იარაღის ასაღებად, მხოლოდ რამდენიმე კაცნი დარჩნენ გალავანზედა, რომელთა რიცხვში იყო კასტორ ვინმე, ცრუ ურია. კასტორი მოვიდა ტიტესთან, როგორათაც ელჩი ურიებისა, ⁂ ჭსთხოვა შერიგება ურიებთანა, იმ პირობასზედა, რომელსაცა თიოან ტიტე დაუდებდა იმათ. ტიტე, თუმცა შორს დამნახავი კაცი იყო, მაგრამ მოტყუვდა თვალთმაქცისა, კარგის მოლაპარაკისა ⁂ ცრუ ურიისაგან ასე რომ შერიგებას აპირებდა ⁂ გალავნის დანგრევაცა დააყენებინა, მაგრამ სხვა ურიები თანხმა არ იყვნენ შერიგებასზედა. დაიწყეს ერთმანეთში უთანხმოება; ზოგნი შერიგებას ამობდნენ ⁂ ზოგნი ომის გაგრძელებასა, ამასობაში გავიდა დიდი ხანი ⁂ ტიტემ იფიქრა, რომ ურიანი ატყუებენ იმას ოსტატურად, ამის გამო შეუდგა თავის ჭასრსა: დავაქციო იერუსალიმი ⁂ საფუძვლიანად ამოეფხვრა ურიების ხალხი. ისევ არეულობაში იყვნენ ურიები, როდესაც ტიტემ უბძანა თავის მხედრობასა დაქცევა გალავნის კედლებისა, ხუთს დღეს ანგრიეს ⁂ მეორე გალავანიც დაანგრიეს, რომელნიც ურიები იყვნენ გალავანს იქით, ზოგნი დახოცეს ⁂ ზოგნი დაატყვევეს. იმ ჟამად დაიხოცნენ მრავალნი ურიანი; ადამიანის სისხლი რუსავით მიდიოდა.

ტიტემ, ვითარცა ეულჩვილმა კაცმა, აღუკრძალა თავის ჯარსა ურიეების სოცა ტ დაქცევა მრავლის შენობისა, რომელიცა იყო მეორესა ტ. მესამე გალავანს შუა. დატუვეებულს ურიეებსა ნება მისცა რომაელების სასმელ-საჭმელების სარგებლობისა. მაგრამ ურიეები ამ წყალობის ღირსნი არ იყვნე. ტიტესაგან მიცემული შეღავათი, ურიეებმა ბოროტად მოიხმარეს, ასე რომ მიუხდნენ რომაელების ჯარსა საომრად. გამოარჩიეს დრო, როდესაც გამარჯვებულნი რომაელნი უიარაღოდ იყვნენ, ტ ურიეებს აღარა სოცდნენ, ისინი უეცრად ზედ დაესხნენ უიარაღო რომაელებსა ტ გამორეკეს მეორე გალავანს აქეთ, რომელიცა ომით აღებული ჰქონდათ. მხოლოდ დიდი ვაჟკაცობა რომაელების სარდლებისა ტ თითონ ტიტესი, რომელმაცა რიგიანად იცოდა მოპყრობა თავის ჯელქვეითებისა, თავ-თავის დროზედა, იყო მიზეზი ამისი, რომ რომაელებსა ვერ წაართვეს დიდი ხნიდამ ომით აღებულნი ადგილები. მაშინა სცნა ტიტემ, თუ რა რიგად უნდა მოპყრობა ურიეებსა. დიდად შეინანა თავისი მოქმედებაები, რომლისა მიზეზი იყო ბუნებითი, მშვიდობის მოყვარე ტ უწყინარი სასიათი ტიტესი, რომელიცა ახლა შეუდგა თავის განსრახულსა მტკიცედ, რომ სრულებით აოხრონ ურიეები.

მდგომარეობა ურიეებისა, რომელნიცა იყვნენ იერუსალიმში, იყო ძალიან ძნელი ტ გაჭირებული, ამისათჯს რომ ეოველის მხრით გზები შეუკრეს რომაელებმა, საიდამაც კი შესაძლებელი იყო სასმელ-საჭმელის

შეტანა. ასეთი შიმშილი იყო ურიელებში, რომ ისინი ბურის მაგიერად სჭამდნენ უწმინდურობასა. ამ შეწუხებაშიაცა ურიელები ერთმანეთსა სოცდნენ ⁊ სსუა ⁊ სსუა ურიგო საქმეებს იქმოდნენ. მეოთხე დღესა გამორეკიდამ, ტიტემ მეორეთ აიღო ქალაქის მეორე გალავანი; მრავალნი ურიანი დახოცეს ⁊ სხვანი დაატყვევეს, ⁊ სრულიად დაქცეს მრთელი მსარე ადგილის გალავნისა.

დარჩა ასადგები ერთი გალავანი. ურიელებმა რომ გაიგონეს რომაელები აბირებენ მესამე გალავნის აღებასა, საშინლად შეშინდნენ ⁊ შეექმნათ დიდი არეულობა. მშვიდობის მოყვარესა ტიტესა არ უნდოდა სისხლის დაღვრა ⁊ ჭსურდა, რომ უსისხლოდ დაემორჩილებინა ურიელები. ამ განზრახვითა მოუწოდა თავისთან, ბირველს ომში დატყვეებულსა, რომელსამე ურიასა, იოსებ ფლაბიასა ⁊ იმის ბირით შეუთვალა თავისი ჭაზრი ურიელებსა. იოსებმა, როგორათაც, თავის დროს დიდად განათლებულმა კაცმა, ჩამამეველმა კეთილშობილთა კაცთაგან, ძალიან კარგად სარგებლობა ტიტეს შეთვლილობისა ⁊ ამის გამო მოინდომა დაეფოლიებინა ოავის ქეყანის სალხი, რომ თავის ნებით მოეცათ იერუსალიმი უკეთილესისა მმლეველისათჯს. იოსებმა, ამ საქმისათჯს, წაიყვანა თანა რავდენიმე რომაელების ჯარის კაცნი ⁊ მივიდა ქალაქის გალავანთანა. იქ დაიმალა თავისის ამხანაგებითა, ⁊ ტირილით სთხოვდა მოქალაქეებსა, რომ დანებდნენ ტიტესა უსისხლოდ, რადგანაც შემოთვლილი სიტყვები ტიტესი იყვნენ იმათთჯს ძალ-

იან სასარეგებლოანი. მაგრამ იოსების თხოვნა ⁂ დარიგება არ შეიწყნარეს ურიელებმა. ურჩთა, ამპარტავანთა ⁂ ბოროტთა ურიელებსა არცა უნდოდათ, რომ გაეგონათ ნებით დამორჩილება ტიტესი. მოხუცებულებისა ⁂ უფროსი კაცებისაგან შეეშალიანებულმა ურიელებმა დაუწყეს ქეის სროლა თავის გონიერსა, კეთილის მეოფელსა მეზობელსა იოსებს; ვერ დაამყოდა ისინი საშინელმა შიმშილმა, რომელიცა იყო მაშინ იერუსალიმში. იოსებ გულ ნაკლული თავის მეზობლებისაგან, რომელმაცა ამგვარი ასიერებული ქცევა იმათი შერაცხა სასჯელად ღუთისა, რადგანაც ტაძარი იმისი შეაგინეს უბრალოსა სისხლის დათხევითა ⁂ წინააღმდეგნი გაუხდნენ ღუთის ნებასა, მწუხარებით სავსე დაბრუნდა რომაელების ჯარის სადგომში ⁂ აწარდ იგლოვდა ურიელების თავის ნებით დალუპვასა. ტიტე განრისხდა ურიელების უარის ოქმასყდა ⁂ ბრძანა ძალით ალება იერუსალიმისა, რომლისათუსაც დაიწყო მომზადება. ეს რომ გაიგეს ურიელებმა, მეორე დამეს გააკეთეს ნაღმი,—შეთხრილი მიწას ქვეშ შესავალი, გალავანს ქვეშა, ⁂ დაწვეს ხიდები ⁂ კედლის-სანგრევი იარაღები, გაკეთებულნი რომაელებისაგან, გალავნის ასადებათ. ერთს წამში გახეთრდა ცეცხლი ⁂ ასეთი სიცხის ალი დაადგა, რომ გაქრობა ცეცხლისა შეუძლებელი იყო. მხოლოდ ტიტეს ბრძანებითა, მოარჩინეს დაწვასა რავდენიმე რკინით გადაჭედილნი კოშკები. ამ არეულობაში რომაელებს მოუხდნენ სამი, ძალიან ღონიერი ურიელები, იმათ მოეშველნენ რა-

ვდენიმე ურიანი, ასე რომ შეიყარა ერთი დასტა ⁂ შეექმნათ ფიცხელი ომი ⁂ ტიტეს ჯარი გამორეკეს მეორე გალავანს გარეთა. ამ გვარმა ურიელების ქცევამ გააბოროტეს ტიტე. იყო დიდი შიმშილი იერუსალიმში ⁂ მრავალნი ურიანი მოდიოდნენ რომაელებთან ⁂ უნამუსოს პირითა თხოულობდნენ იმათგან პურსა, რომ შიმშილით არ დასოცილიყვნენ, ტიტემ უბრძანა ამგვარად გამოსულნი იერუსალიმითგან ურიელები ჯვარზედ ჩამოჭიდონ ან ცეცხლში დაწვან. მაგრამ ამითიც ვერ გატეხნენ ამპარტავანნი ურიელები; ისინი იდგნენ გალავნის კედლებზედა ⁂ აგონებდნენ რომაელებსა.

ტიტე ეძებდა ღონესა, თუ როგორ აიღოს მესამე გალავანი, ამისთჳს შეჰკრიბა ყოველნი მხედართ მთავარნი ⁂ წინამძღვარნი სარისანი (სარდლები) ⁂ ჰკითხა იმათ რჩევა, თუ რა ჰქმნას: ზოგნი სარდალნი არჩევდნენ ქალაქის კარების მიწით ამოვსებასა ⁂ იქიდამ აღარავის გამოშვებასა გარეთ; ზოგნი იტყოდნენ ქალაქის გარეშემო უარაულის დაყენებასა; ზოგნი ურჩევდნენ ახლად ხიდების აშენებასა ⁂ ზედ დასხმით, ძალით აღებასა ქალაქისასა. ტიტე არ დაოანხმდა არც ერთს რჩევასზედა. თავისი მოგონილი ჭასრი უანბო შეეწილობასა: ავაშენოთ იერუსალიმის გარეშემო კედელი ქვითკირისა, ასე რომ ჩუწნც დაგეიფაროს ურიელების უეცარის ზედ დაცემისაგან ⁂ იმათაც ამითი შეუკრას გალავნიდამ გამოსავალი გზები. ეს რჩევა ტიტესი ურილობას მოეწონა ⁂ ხეშს დღეს შემდეგ გალავანი შემოარ-

ტეეს იერუსალიმსა. ურიეებმა, რომ ნახეს მადალი გალავანი გარეშემო ქალაქისა, საშინლად შეეშინდათ. რაკი საზრდოს შეტანა ვეღარ შეიძლეს ქალაქში, დიდი შიმშილი შეიქმნა იერუსალიმში. დახოცილი მკუდრები ქუჩებში ეყარნენ ზვინი ჯ ზვინი. მოქალაქენი, რომელთაც ჯერ არ შეეხებოდათ სიკუდილი, დადიოდნენ ქალაქში გამსდარის სახითა, როგორც მკუდრის ლეში, ჯ ეძებდნენ საჭმელსა. ბევრჯელ მკვდრის ლეშსა სჭამდნენ ჯ ამით ანოეივრებდნენ თავიანთ თავსა. საზარელი მწუხარება შეექმნათ ჯ დიდად უიმედონი გახდნენ. მკვდრის დამმარხველი ადარავინ იყო ყველა მოელოდა მწარე შიმშილისაგან სიკუდილისა, ყოველის მხრით დასუსტებულნი ჯ უგრძნობელნი. მხოლოდ მოხუცებულნი, ესე იგი თავი კაცნი, ვინც იყვნენ, იმათ უსარგოდათ ხალხის უბედურება, როგორათაც მდიდარმა კაცმა, დაიჭირეს თაეის ყელში საჭმელ-სასმელი ჯ საღის ჯანითა დადიოდნენ ქალაქში, სტვრეენიდნენ ხალხსა, იკლებდნენ მომაკუდავსა კაცსა ჯ უფრო ხშირად სიკუდილზედ მიწურულსა კაცსა, თითონ სოცდნენ რომ გამთრჩნენ რასმე ჯ წაართვან. ისრე საშინლად დაიხაშმა ჭაერი მკუდრის ლეშის სუნისაგან, რომ გაუჭნდათ სასარელი სნეულება შიმშილით დაქანცულს ურიეებსა, ამის გამო დიდად გახშირდა სიკუდილი ხალხისა. შესანუბუქებლად სიმურალისა, ურიეების უფროსმა კაცებმა უბრძანეს ხალხსა მკუდრების გადაყრა გალავანს გარეთა. რა ნახა ტიტემ მრავალი მკუდრის ცეამეი გალავანს

აქეთ გადმოურილნი, იფიქრა, რომ ძალიან გაჭირება აქუსთ ურიებსა ⁂ უეჭველად იერუსალიმის აღება ძალიან ადვილი იქმნება. ამისთჳს უბრძანა ხის ხიდების გაკეთება. რომლითაც ადვილი იყო ქალაქის აღება. ხიდების აშენების დროსა, იერუსალიმში იყო სვიმონ ვინმე ურია, ქალაქის მთავარი, კაცი ხარბი ⁂ ფულის მოყვარული, ამან დახოცა მდიდარი ურიები, თავის მეზობლები ⁂ იმათი სარჩო დაინარჩუმა. სვიმონმა მოჰკლა თავისი მეგობარი მატთე, მღუდელთ მთავარი ანანია ⁂ მრავალნი სხვანი პატივცემულნი მოქალაქეები. ერთი სვიმონის მსახური, იუდა, კაცი ჭკვიანი, ურჩევდა კარგს მოქალაქეებსა, ტიტეს დაემორჩილდეთ; ⁂ თუ არ დაემორჩებით, უთუოთ დავისოცებით ან სვიმონის ბელითა ანუ შიმშილითა, ამისათჳს რომ დიდსანს ველარ გაუძლებთ რომაელების ⁂ არის ომსა. მრავალნი დაეთანხმნენ იუდას რჩევასა; დანიშნეს დროცა ტიტეს დამორჩილებისათჳს. იუდა დასდგა გალავანზედ ⁂ ხმა მაღლა დაუწყო ლაპარაკი რომაელების ჯარსა, რომელიცა გალავანს ადგა გარეშემო, მე გალავნის კარს გაგიღებ, თუ რომ მე ⁂ ჩემს ამხანაგებს არ დაგვხოცამთ, როდესაც იერუსალიმს აიღებთ. რომაელებმა კარგად იცოდნენ სვინიდისი ⁂ პატიოსნება ურიებისა ⁂ არ დაუჯერეს იუდას სიტყუასა. იუდას ლაპარაკი გაეგონა ერთსა სვიმონის ერთგულსა კაცსა, ამისათჳს სვიმონმა უბრძანა ჯარის კაცებსა: დახოცეთ იუდა ⁂ იმისი ამხანაგები ⁂ გალავანს იქით გადაეარეთ. მაშინ

გაიგეს რომაელებმა, რომ იუდას სიტყვა ტყუილი არ
იყო, შესწუხდნენ, რომ შეთხვევა ჯ დრო ვერ მოისმა-
რეს ამისა შემდგომად იოსებ ფლავიამ კიდევ მოინ-
ბომა დაეფოლიებინა თავისი მერჯულე ურიეები იერუ-
სალიმის მოცემაზედა ტიტეს ველში, მაგრამ ურიეებმა
კინაღამ მოკლეს გალავნიდამ გადმოსროლილის, დი-
დის ქვებითა. მრავალნი ურიანი, შიმშილისაგან შეწუ-
ხებულნი, გამოდიოდნენ ქალაქიდამ ჯ რომაელების ჯა-
რის სადგომში მოდიოდნენ ბურისათჳს, მაგრამ რომა-
ელები აღარა ზოგამდნენ იმათა; სოცდნენ უწყალოდ ჯ
ჭერიდნენ უპატიოდ. თუმცა ამგვარი უბედურება, მწუსა-
რება ჯ შიმშილი ადგათ ურიეებსა, მაინც კიდევ შფთ-
სა ჯ არეულობაში იყვნენ, ასე რომ ერთმა ურიეების
უფროსმა კაცმა იოანემა გაქურდა იერუსალიმის ტაძარი
ჯ აიკლო; იქიდამ გამოსიდა მრავალი ოქროსა ჯ ვე-
რცხლის ჭურჭელი, მეფეებისაგან შეწირული; საეკლე-
სიო ღვინოსა ჯ ზეთსა თითონ სმარობდა ჯ სალსს
აჯერებდა, რომ ამგვარი საქმე ცოდვა არ არის.

ბოლოს დროს ნახეს ურიეებმა, რომ უეჭველად
დაიღუპებიან, ამისთჳს ბევრს უნდოდა რომ მალე აე-
ღოთ იერუსალიმი. ერთმა ურიამა, საკვლით მანბემა,
მოახსენა ტიტესა: მალე დააქცევინე გალავანი, ურიეებს
მალა აღარა აქუსთ რა ჯ გალავნის კარებთან, სადაც
მე ყარაულად ვჰსდგევარ ჭერია მეუდარი ურიეები ას
ორმოც ჯ ათი ათას რვაასი. იმავე დროსა ტიტესთან
მოვიდნენ კარგი მოქალაქეები ჯ აცნობეს, რომ იერუ-

ხალიმი დიდს შეწუხებაში არის, ადარ არის ადგილი, რომ მგუდრის ლეშით არ იყოს სავსე ჯ იერუსალიმს გარეთ დახოცილი ურიეები ჰერიან ექუსასი ათასი კაცი; დანარჩენი ურიეები, რომელნიცა ჯერ არ მომკუდარან, თუმცა ცოცხლები არიან, მაგრამ საზარელს შიმშილს ითმენენ ჯ ჰურის მაგიერად თავიანთ სკორეს სჭამენ. რა მოისმინა ესე, ტიტემ უბრძანა სიჩქაროდ გაკეთება ხიდებისა, კოშკებისა, გალავანს ახლო მიზიდვა სხუა ჯ სხუა კედლის სანგრევის იარაღებისა ჯ ომის დაწყება ასაღებად მესამე გალავნისა. ურიეები, თუმცა ძალიან მოუძლურებულნი იყვნენ, მაინც ვაჟკაცურად გაისარჯნენ; მაგრამ სად გაუძლებდნენ დახელოვნებულსა ჯ საჯმლით გაღონიერებულსა რომაელების ჯარსა, ძალიანის ცემისაგან, მაშინამ კედლები აქა იქა დაანგრია ჯ რავდენიმე კლდეები გამოსცვინდა, მაგრამ რომაელების იერუსალიმში შესვლა დაუბრკოლა ღამის სიბნელემა.

მეორეს დღეს, დილით ადრე, რომაელებმა დააქციეს მესამე გალავანი, მაგრამ, რომ წადგნენ წინა, ნახეს სხუა გალავანი, სიჩქაროდ აშენებული იოანნე ურიისაგან, ტიტემ ძლიერის სიტყვითა ჯ ბრძანებითა უთხრა თავის ჯარსა, უეჭველად აღება იმ გალავნისაცა. რამდენიმე ჯარის კაცი რომაელებისა ზედ გალავანზედ ავიდნენ ჯ სიკუდილამდისინ საკჯრველად ებრძოდნენ დამწყვდეულს ურიეებსა.

ორს დღეს უკან აიორჩიენენ თორმეტი გულადი რო-

მაელი ჯარის კაცნი ჯ ბნელს ღამეში ავიდნენ გალავანზედა, დასოცეს ეარაულები ჯ დაიწყეს ბუკის კვრა, ამ საეგირის ხმაზედ მოცვივდნენ მრავალნი რომაელების ჯარის კაცნი. შეშინებულს ურიეებს ეგონათ ქალაქი აიღესო, მიაშურეს ჯ დაიმალნენ ტაძარში, სადაცა ფეს ჯ ფეს მიჰყვნენ რომაელებიცა. იქ მოუხდათ ფიცხელი ომი, რომელიცა დაიწყეს ღამის მეცხრე საათიდამა ჯ გაათავეს დღის მეშვიდე საათზედა, ასე რომ რომაელების ჯარმა აიღო კოშკი, წოდებული ანტონის კოშკად, დააქცია ჯ ციხეში შესავალი გზა გაუკეთა დანარჩენს რომაულს მხედრობასა. იმ დროს შეეთხვია დღესასწაული ურიეებისა, წოდებული ენტიეხისმოდ, ესე დღესასწაული ტიტემაც იდღესასწაულა ჯ სადილზედ სხვათა ვაჟკაცობით გამოჩენილთა სარდლებთანა, მიიწვიეს რომაელებმა იოსებ ფლაბიაცა, ურიეების მეისტორიე კაცი ჯ იმათი სარდალი, რომელსაცა სადილზედ უბრძანა ტიტემა, რომ კიდევ ურჩიოს ურიეებსა დამორჩილება იმისი. მაგრამ იოსებ ფლაბიასა არა დაუჯერარა ახირებულობით გაფიცხებულმა, ურიეების უფროსმა იოანნემა, თუმცა მრავალთა იერუსალიმში მცხოვრებელთა დაუჯერეს იოსებსა ჯ მოვიდნენ ტიტესთან დამორჩილებულნი, რომელნიცა იმან მიიღო თავის მფარველობაში. დააგდეს ხმა იერუსალიმში, რომ ვინც ურია დაემორჩილა, ტიტემ დაახოცინაო, ამის გასამტეუნებლად ტიტემ უბრძანა დატეეებულს ურიეებსა, იოსების წინაშმდეგობითა, გაიარონ გალავანს ახლო ჯ დაესა-

ხვნენ თავის მერჯულე ურიელებსა.

იოანნეს მოუდრეკლობითა განრისხებულმა ტიტემა მოინდომა იერუსალიმის აოსრება ⰴ სრულებით გაწყვეტა ურიელებისა. ამ განზრახვითა უბრძანა რჩეულს ჯარსა დახოცვა ყოველთა ცისგზედ მდგომთა ყარაულთა ⰴ დაუნიშნა დროცა—ღამის მეცხრე საათი, მერმე შეკრიბა მთლად თავისი ჯარი ერთად, გაჰყო რამდენსამე დასტებად ⰴ წაასხა იერუსალიმზედ. შუაღამისას მოუხდათ საზარელი ომი, ⰴ გასწყვიტეს დიდძალი ურიელები. მერმე შემოადგნენ ტაძარსა, სადაცა დაიმალნენ მრავალნი ურიანი. გააკეთეს სარაჩოები ⰴ შემოერტყნენ გარსა, ⰴ თუმცა ძალიან გაუმაგრდნენ ურიელები, მაგრამ რომაელებმა ყოველის ღონის მოხმარებითა, აიღეს ტაძარიცა, რომელიცა რომაელებმა ⰴ თითონ ურიელებმა დაწვეს; არ უნდოდათ, რომ სალოცავი ადგილი ურწმუნოებს დარჩენოდათ; რასაკვრველია თითონაც შიგ დაიწვნენ ურიელები.

აწ აღვწეროთ საშინელი უბედურება იერუსალიმში შემწყვდეულის ურიელებისა, იმ დღეს აქვთ, რაც რომაელნი შემოადგნენ იერუსალიმსა, ურიელები შიმშილობაში მყოფნი, პურის მაგიერად სჭამდნენ: თავის ფინთსა, საქონლის ნეხვსა, ტყავებსა, ოთხფეხებსა ⰴ სხუა უწმინდურს რასმე ⰴ თუმცა ესენი სათქმელათაც ⰴ სანახავათაც საზიზღარნი არიან, მაგრამ ამაებს ურიელები ძვირფასად ყიდულობდნენ ⰴ ისე სჭამდნენ. დამშეულნი ურიელები ვისაც პურს ან სხვა საჭმელს დაუნახამდნენ, წაა-

რომელნენ ჯ ამისთჳს მოსდიოდათ ჩხუბი ჯ ბევრნი ხოცდნენ ერთმანეთსა ჰურისათჳს. ერთი ძალიან მდიდარი დედაკაცი მარიამ, ასული ელიზარისა, ჯერ სცხოვრებდა ხოფელს ბეტეზოვრას, იორდანე მდინარეს გაღმა, ჭერმე გადმოსახლდა იერუსალიმში; შეეშინდა რომაელებმა არ ამიკლონო. როდესაც დიდი შიმშილი იყო იერუსალიმში, მაშინ ურიებმა სულ წაართვეს იმ დედაკაცსა რაც რამ ქონდა ჰური, თუ ქონება. ის დაგლეჯილი დედაკაცი იმ ნაირად შეაწუხა შიმშილმა, რომ თავისი ძუძუმწოვარი ემაწვილი დაკლა, შეწვა ჯ იმასა სჭამდა, მწარედ მტირალი შვილზედა; ნახევარი კიდეც შეჭმული ჰქონდა, როდესაც უეცრად შეუცვივდნენ სახლში მრავალნი დამშეულნი ურიები, რომელთაცა ნახევარი ბავშვი წაართვეს ჯ შეჭამეს. გავარდა ხმა იერუსალიმში ჯ სხუანიცა ამ სახით ჰსჭამდნენ ხორცსა, ჰურის მაგიერად.

ტაძარი იუდიანთა სალხითურთ დაიწვა, ადგილი წმიდა, სამეოფი ღუთისა ქუსწეანასა ზედა, საშუალ გამორჩეულისა იერისა ჯ გარდაიქცა ნაცრად შვენიერი ნაშენობა მისი ჯ შეიღება უსჯულოთა, ურჩთა ჯ ღუთის ნების გაუგონართა ურიების სისხლითა, ესრეთ, რომელ არა დარჩა ქვა ქვასა ზედა, ვითარცა სთქუა ქრისტემა.

ამ ურიების უბედურებისა ჯ დაღუპის მომასწავებელად ღმერთმა წინასწარ გამოუჩინა თავის ურჩს ურიებსა, ნიშნად თავის რისხვისა, სხუა ჯ სხუა ნიშნები

ცაში ჯ ქუჩწანაზედა, მაგრამ ამპარტავანთა ურიებსა ეგონათ, ის ნიშნები ჩუჩნს ბედნიერებას მოასწავებენო ჯ არ მოიშალეს თავისი ბოროტი ქცევა. აი ის ნიშნები. ძალიან დიდს სანსა ჩნდა ცაში ვმლის მსგავსი ვარსკვლავი. მრთელს წელიწადსა, ეოველ ღამე გამოჩნდებოდა ხომე ცაში რაღაც ნაირი სახისა კუდიანი ვარხკვლავი, ხუხის კვირაში (უცომობის დღესასწაულში), როდესაც ურიები იყვნენ ტაძარში ჯ ლოცულობდნენ, შუა ღამის დროსა უეცრად გამოჩნდა თვალის დამაბნელებელი, დიდი ნათელი, რომელიცა მზის სინათლეზედ მეტი იეო ჯ ჭსჩანდა ნახევარს საათსა. შემდგომად იმისა ისევ შუაღამის სიბნელე დადგა. მხოლოდ რაოდენთამე ურიათა შერაცხეს ესე გამოჩინება ნიშნად უბედურებისა, ჯ უფრო მრავალთა ურიათა სთქვეს, რომ ნიშანი ესე ბედნიერებასა მოასწავებსო. მეორეთ, ეგრეთვე ხუხის კვირაში, როდესაც მღუდლებს მიჭვევანდათ ტაძარში ზვარა დასაკლავად დეკეული, ვიდრემდისინ დაჭკლამდნენ, ბატკანი მოიგო. ერთს დროს ტაძრის კარები დაკეტილი იეო ჯ უეცრად გაეღო თავის თავად, ღამის ექუს საათზედა,—შუა ღამისასა ჯ გააკვირვა იქ მდგმნი ტაძრის ეარაულები. პირველს მაისს, მზის ჩასვლის წინათა, ურიებმა დაინახეს ცაზედ მრავალი ცხენებ შებმულნი ურმები. დღესასწაულსა მეერგასიისასა, როდესაც მღუდელნი ჩუჩულებისამებრ შევიდნენ ტაძარში, იქ გაიგონეს საშინელი ხმაურობა ჯ კიჟინა: „აქედამ გადავსახლდეთ.“ ბოლოს დროს, ოთხის წლის წინათ,—

იერუსალიმის აღებამდისინ, ვიდამაც ისო ანონის ძემა; ურიამა, ერთს დღესასწაულს დღეში, როდესაც ხალხი შეერილი იყო ტაძარში, შუა ხალხში, ხმა მაღლა ჴსოქუა: „ხმა აღმოსავლეთიდამ, ხმა დასავლეთიდამ, ხმა ოთხთა ქართაგან, ხმა იერუსალიმსა ⸗ ეკლესიასა ზედა, ხმა ახალთა ქმართა ზედა ⸗ ახალთა ცოლთა ზედა, ხმა ყოველსა ამას სალხსა ზედა.“ იმ დროდამა ისო ურიამა დაიწყო იერუსალიმში სიარული, ⸗ ნიადაგ ამ სიტყვებს იტყოდა, არა თუ ურიანი დაჴსტინოდნენ უბედურების მომთხრობელსა, ბევრჯელ კიდეც სცემდნენ. ურიელების უფროს კაცებსა უნდოდათ იმ წინასწარ-მეტყველურის სიტყვების მნიშვნელობა შეეტყოთ, თუ რას მოასწავებდა ამ ბარი ამბავი, -მისთჳს დაიჭირეს ისო ურია ⸗ წარუდგინეს რომის კეისრის მოადგილესა, ⸗ სთხოვეს ტანჯვით გამოკითხვა მნიშვნელობისა. ურიელების ქუჩუნის მთავარმართებელმა მოაყვანა მტანჯველნი ⸗ რამდენსაც დაჴკრამდნენ, ისო იმახდა: „ვაჲ შენ, იერუსალიმო.“ მრავალი სტანჯეს, მაგრამ ამ ლექსის მეტს არას იტყოდა. იუდიანთ მთავარმა იცნა ისო ურია სულელად ⸗ უბრძანა, რომ ისო გაუშვან. ამისა შემდგომაცა სხუას არაფერს ამობდა, ამ სიტყვების მეტსა. ვინც რასმე ჴკითხამდა, ისო ამ სიტყვებს ეტყოდა ჰასუხად, ⸗ თუ სასმელ-საჭმელს მისცემდა ვინმე, მაშინაც, მადლობის მაგიერად, ამასვე იტყოდა. რომაელები, რომ შემოადგნენ იერუსალიმა, ისომ შემოუარა შიგნიდამ გალავანსა ⸗ სთქუა: „ვაი ქალაქსა,

ეკკლესიასა ჰ ხალხსა.“ ზედვე დაუმატა ამ სიტყვებსა, ესეცა: „ვაგლახ მეცა.“ როგორც ეს სიტყვები გაათავა, იმავე წამში დაეცა დიდი ქვა, რომაელის ჯარის კაცისაგან გადასროლილი, ჰ მოჰკლა ისო. ესე ოთველნი ნიშნები ჰ წინათ მოსწავებანი ნამდვილად ასრულდნენ. რომაელებმა იერუსალიმი აიღეს ჰ გააოხრეს; უმეტესი ნაწილი ურიები დახოცეს, ტაძარი დაწვეს ჰ საძირკვლიანად დააქციეს ჰ ოთველნი ურიების მღუდელნი გასწვიტეს.

ურიებმა რაკი ნახეს, რომ არ ასცდებოდათ იმათ დალუპა, შეიყარნენ ტაძრის ნაქცევზედა ჰ ჴსთხოვდნენ ტიტეს შერიგებასა, ტიტე დაუთანხმდა, მაგრამ კელ-ახლად გაუწყრნენ ტიტეს ჰ გაიქცნენ იმ განზრახვითა, რომ მაგარს ადგილებში დაიმალნენ ჰ ჩასაფრდნენ. იქიდამ უცრად დაესხმოდნენ ხოლმე რომაელებსა ჰ ვისაც დაიჭერდნენ, სტანჯამდნენ ჯარის თვალწინ. უნდა ვიფიქროთ, შემდგომ ამისა, რაღას დაზოგამდნენ რომაელები ურიებსა.

ტიტემ, რაკი დააწვეინა ტაძარი ჰ გააოხრებინა ქალაქი, მოამზადა ჯარი ასაღებად იმ ციხისა, რომელსაცა ერქუა ზემო ქალაქი ჰ რომელიცა ისევ ურიების კელში იყო. სულ ყველაფერი მომზადებული ჴქონდა ტიტეს, როდესაც მრავალნი ურიანი მოვიდნენ ჰ დაემორჩილნენ ტიტესა. როდესაც შეიტყო ეს ამბავი ურიების უფროსმა კაცმა სვიმონმა, მაშინ იმ ურჩმა ურიამა უბრძანა თავის ჯარსა დახოცვა იმ ურიების

მთავრებისა, რომელნიცა ტიტეს დაემორჩილნენ, მაგრამ ისინი იმ დროს ტიტეს მფარველობას ქვეშ იყვნენ. ამავე დროსა სიკუდილისაგან გადარჩენილმა ურიის ორმა მღუდელმა, რომელთაგანსა, ერთსა ერქუა ისე, მოართვეს ტიტესა მრავალი ეკლესიის ჭურჭელი ⰴ შესამოსელი, ესე იგი: ორი დიდი ოქროს სასანთლე, ტრაპეზი, მვირფასნი ჯამ-თასნი, მღუდელთ-მთავრის შესამოსელნი, მვირფასის თვლებით მორთულნი ⰴ სხვანი ⰴ ამის გულისათჳს მიიღეს მფარველობა ტიტესაგან.

შვიდს ენკენისთვესა (სეკდემბერსა) რომაელების ჯარი შემოადგა ასაღებად ზემოქალაქისა, თუმცა ძალიან დიდი მაგარი გალავანი ერტყა იმ ციხესა, მაგრამ რომაელებმა ძალე დაანგრიეს, ამისათჳს რომ ურიებები ველარ შეებნენ ⰴ გაქცეულნი იქიდამაც დაიმალნენ მთასა ზედა აკრასა, ზოგნი დაიმალნენ ქალაქის სამალავს ადგილებში, ეგონათ ამით გადაურჩებით სიკუდილსა. გალავანი, რომ დააქციეს, რომაელების ჯარმა დაიწყო აკლება ⰴ ტაცება ურიების სახლებისა, ეძებდნენ დამალულს ქონებასა. ამ ძებნაში იპოვნეს ხალხის თავნი: სვიმონ ⰴ იოანნე, მიზეზნი ხალხის ურჩობისა, არეულობისა ⰴ სხუა ⰴ სხუა შფოთისანი.

ასრე აიღო ტიტემა უკანასკნელი ნაწილი იერუსალიმის ქალაქისა ⰴ გააოხრა. მაშინ ეოველნი ურიანი, რომელნიცა დარჩნენ ცოცხალნი, ტიტემ დაიმორჩილა ⰴ იმათ ამ სახით მოექცა. ეოველნი მოხუცებულნი მაშინვე დაახოცინა, ვაჟკაცნი, ახალგაზდანი, ჯანსაღნი

ჯ ლამაზნი დაუტევა ცოცხალნი, შვიდის წლისანი ჯ ამაზედ მომეტებულის ხნისანი, არა უმეტეს ათის წლისანი, ეგვიპტეში გაგზავნა ბორკილებითა სამუშაოდ, სხუა ჯ სხუა ადგილებში; ჯ ბავშვები, რომელნიცა შვიდის წლის მეტნი არ იუვნენ, სულ გააყიდვინა. დატუვებულს ურიებსა ტიტემ სრული ნება მისცა საჯმელ სასმელისა, მაგრამ რომაელების ჯარმა, ჩუმად ტიტეს უნებურად, შიმშილით დასოცეს ოცი ათასი კაცი ურია.

როგორათაც ისტორიის მწერალნი კაცნი ამტკიცებენ, ორის დაწუებიდამ გათავებამდისინ რომაელებმა დაიჭირეს ტუვეთა ოთხმოცჯ ჩვიდმეტი ათასამდისინ, ომში მოკლულნი ჯ შიმშილით დასოცილნი არიან მილლიონზედ მომეტებული ურიები.

ამ სახით გაფუჭდა იერუსალიმი, რომელიცა იეო საკჯრველი ქალაქი, შვენიერებითა ჯ სიდიდითა თჯსითა გამაკჯრვებელი მრთელის ქუყანისა; სამოცჯ მეათესა წელიწადსა, ქრისტეს შობის შემდეგ, სრულებით გაოხრდა, ძველი, შვენიერი ქალაქი დავითისა ჯ სოლომანისა, აუვავებული სიკეთითა; წარწუმდა სამუდამოდ.

შემდგომად იერუსალიმის აღებისა, ტიტემ დიდის დიდებით იდღესასწაულა გამარჯვება. დასაჩუქრა ეოველნი ჯარის კაცნი, ვინც რისაც ღირსი იეო, მისცა იმათ სახელოები ჯ საჩუქრები. დაუტევა ეარაული დაქცეულს იერუსალიმში ჯ დიდის დიდებით წავიდა ეგვიპტეში ჯ თან წაიღო სიმდიდრე ჯ სამკაული იერუსალიმის ტაძრისა ჯ სალსისა. კეისარიაში იდღესასწა-

ულა დაბადება თავის ძმის დომიციანესი; შექცევისა ⁂ სადილის დროსა, ტიტე აომებდა ურიეებსა ერთმანეთსა; ამ ბრძოლაში დაიხოცნენ ორიათას ხუთასამდე დატყვეებულნი ურიეები. ხალხის უფროსი სვიმონ, ტიტემ გაგზავნა იტალიაში, მძიმე ბორკილითა, ⁂ თითონაც მალე წავიდა რომში, რაკი შეიტყო თავის მამისა იქ მოსვლა. როდესაც ტიტეს ჭევანდა ურიეები კესარიაში, მაშინ კესარიის ხალხი ურიეებს ბევრსა ხოცდნენ, ამიტომ, რომ ურია ძალიან ეჯავრებოდათ. ურიეები, რომელნიცა სიკუდილს გადაურჩნენ, რომაელებმა დაასახლეს ანტიოხიის ქალაქში. სვიმონ ურია ტიტემ მოჭკლა რომის ქალაქში, დია ღმერთას ბომონის (სალოცავის) წინა, დღეობაში, ⁂ შეერილს ხალხში.

რამდენსამე სანს უკან რომაელებმა დააქციეს ციხე მასსადისა, რომელიცა იეო იერუსალიმს ახლო, ⁂ რომელიცა პირველში არ წაასდინეს, ამისათჳს რომ იქაურნი მცხოვრებნი რომაელებს არას დროს არას აწყენინებდნენ ხოლმე. ციხე მასსადისა იეო აშენებული იონათან მღუდელთ-მთავრისაგან ერთს, კლდიანს, მაღალს მთაზედა ⁂ თითქმის შეუვალი იეო. ამას გარდა ირდი, მეფობდა რა ისრაელსა ზედა, ნიადაგ ეშინოდა, რომ მეფობა არ ჩამამართვანო, რადგანაც მეფის ჩამამაგალი არ იეო, ამის გულისათჳს ამაგრებდა მასსადის ციხესა, ვინიცობა იეოს ⁂ გაუჭირდეს, იმ ციხეში დაიმალოს ⁂ გამაგრდეს. როდესაც რომაელების ჯარი შემოადგა იმ ციხესა ⁂ ანგრევდა, მაშინ იქ მეოფმა ურიეებმა თა-

ვები დაიხოცეს, ასე რომ რომაელების ჯარი, რომ შე-
ვიდა ციხეში, ცოტანი ღა იპოვნა იქა ცოცხალი ური-
ელები.

შემდგომად იერუსალიმის დაქცევისა, მრავალნი ური-
ანი დარჩნენ პალესტინაში, მაგრამ იქიდამ გადასახლე-
ბულთა ეგვიპტეში ⁂ კვიპრეს ჭალაში, ტეუილად დაი-
წყეს, შურისძიებისა ⁂ თავისუფლების სიეუარულისა-
გამო, შეოთი რომაელებთანა, ტრაიანე ⁂ ადრიანე კე-
ისრების დროსა, ასთექვსმეტსა ⁂ სამოც ⁂ თერთმეტსა
წელსა ქრისტეს შობიდამ ⁂ მოინდომეს რომაელების
ემობისაგან თავის განთავისუფლება; იმათ მიბაძეს პა-
ლესტინაში მცხოვრებთა ურიელებმაცა ⁂ შეუდგნენ ვიდა-
საც ცრუ მესსიასა, ბარკოხბასა ⁂ იმის წინამძღვრობი-
თა დაუწყეს რომაელებს ომი, რომელიცა სამს წელი-
წადს გაგრძელდა; რომაელებმა დახოცეს ნახევარ მილ-
ლიონზედ მეტი ურია ⁂ თითქმის ყველა ქალაქები ⁂
დიდი სოფლები ურიელებისა ააოხრეს ⁂ მეორეთ დაი-
მორჩილეს ისინი, ადრიანე კეისრის დროსა, ას ოც ⁂
ცამეტსა წელსა ქრისტესით. დარჩენილნი, ცოცხალნი
ურიელები დაიდეს ⁂ გადაასასლეს: აზიაში, აფრიკაში ⁂
ევროპაში, მთლათ ურიელების ქუეყანა ⁂ იერუსალიმი
უდაბურს ადგილს დაამგზავსეს ⁂ იმათი სამეფო საუ-
კუნოდ დაამხეს. იმ დღეს აქეთ ურიელები ცხოვრობენ
გაბნეულნი ეოველს ქუეყანაში. იმ საშინელისა უბედუ-
რების მოსაგონებლად ურიელები ესლაც ლოცულობენ
თავიანთ თორაში (სალოცავში), წელიწადში ერთხელ,

სადაცა მოთქმით ტირიან ჰ ევედრებიან ღმერთსა.

ამ სასით გაოხრდა უსჯულო, ჯიუტი, მოუდრეკელი ჰ ამპარტავანი ნათესავი ურიისა, ღუთის მკუ̂ლელი; ღუ̂თისაგან ჰ ყოვლისა ხალხისაგან მოძულებული, ბილწი ჰ საზიზღარი, რომელიცა არის ყოველს ქუ̂ყანაზედ დაბნეული, ამისთჳს რომ იმაზედ მოვლენილია საზარელი რისხვა ღუ̂თისა. ეს̂ე მოთხრობა შევადგინე დაბალს ენაზედ, ადვილ გასაგონად, საზოგადო ისტორიიდამ ჰ ურიეების მეისტორიე იოსებ ფლაბიან აღწერიდამ, გასამდიდრებელად ქართუ̂ლების ბიბლიოტეკისა (წიგნთსაცავისა).

ალექსანდრე გარსევანოვი.

ასალი დრო

დედანო ჩუჩნცა დავმლერეთ სასიხარულო ფერხულსა,
ვეღირსეთ რასაც ველოდით ჯ რაცა სწადდა ჩუჩნს გულსა,
ავეარეთ თეთრი ჩადრები ნიშნად ჩუჩნისა გრძნობისა,
გაბედვით ურა შევსძახეთ ერთად მადლობის ხმობისა,
იმპერატორი აცოცხლოს მიზეზი მოწყალებისა,
რომელმაც თჯსი ძმა მოგვცა მომლელად ჩუჩნის ქუჩენისა,
ჩუჩნცა მივმართოთ შევჩივლოთ ჩუჩნი დიდიხნის ჭირები,
ეგების უსამართლობის ამან აღმოფხვრას ძირები
ეს არის დიდთა ველმწიფედ შვილი ძმა შთამომავალი,
ეს განგვინათლებს ქუჩეანას ვითა მზე აღმომავალი,
ორთ წინა მოადგილეთა ვითა სამთელთა მთებარეთ,
მიჭვინეს შუქი კავკაზის ნისლოვანს გარემოარეთ,
ესრეთსა შუქსა მზის სხივი რაოდენ აღემატება,
სიტყო ჯ განცხოვლებაც ბუნებით დაემატება,
ქუჩენად სიუხვე მის გამო იქმნება გარდმოცემული,
მისრწილს ბუნებას ემლევა მისგან სიმტკიცე ჯ სული,

ახლად ცოცხლდება ბუნება მოძრაობს ადმოსცენდება,
სენი წალკოტნი მინდორნი იშლება დაფერადდება,
სხუა ჯ სხუა გვარი ყვავილი მწვანეს ველს მოეფინება,
წუარო ჩქრიალით თავ დაღმა კლდეთა გარდმოედინება,
ტუენი ფოთლითა მოსილნი ნელათ იწუებენ შრიალსა,
ზედ დადენილი ცის ნამი კამკამებს იწუებს კრიალსა,
შიგ დამალული ბულბული გალობს გულ დამშვიდებული,
უეცრათ გადაჰფრინდება სად ჰყვავის ვარდი სუმბული,
სხუანიც ფრინველნი ბუჩქიდამ იწუებენ გრძნობით სტვენასა,
ჩჩვილნიცა შენდა საქებლათ ახლა აიდგმენ ენასა,
განცხოვლდება ყოველი იწუებს მთა ჯ კლდე ხმობასა,
ქუანიც ხმას ამოიღებენ შენ დაგიწუებენ მკობასა,
მობრძანდი ჩუენო დიდებავ გულ წრფელად გულის ყოველი,
ზურმუხტის ფერსა საგებელს გიშლიან მთანი ჯ ველი,
ზედან ტახტს გიდგმენ დიდების ყვავილით შესამებულსა,
სიუარულს ზედან შესწირვენ, გძღვნიან გულსა ერთგულსა,
დედანო ურა შეგსძახოთ არ ვართ ბრმა ბედის სამარი,
განგებამ ჩუენც მოგვივლინა აგერა მეფე თამარი,
ესე დიდების ხარისხით ვით ორბი მაღლა მფრინავს,
მასში გონებით სიმაღლეც ეგრეთ განსხვავებით ბრწყინავს,
ეს არის ცისა მნათობი შუქ მფენი მთვარე გავსილი,
ეს არის დედათ გვირგვინი ყოვლის კეთილით აღვსილი,
ესე განსდევნის სიბნელეს ჩუენს გულსაც მოჰფენს ნათელსა,
ჩუენც ამას გარე მოვევლოთ ვითა ფარვანა სამთელსა.

კნ. ეკატ. ერეისთავისა.

ასანა ლეკის თავს გადასავალი.

(თავისგნითვე ნაანბობი.)

(შემდეგი.)

მეორეს დღეს მიველი ეუბაში, სადაცა დავიარე რაც ბაზრები იყო ⁄ ბურის გამეიდველი ვერც ეთს დუქანში ვერა ვნახე, მაშინ. როდესაც რომ ადრე თითქმის ყველა დუქანშია ჭეიდდნენ ბურსა. ვინც კაცი შემხვდა ქუჩაში, თუ ბაზარში ყველას ზაფრანის ფერი ედვა სახეზედ შიმშილისაგან, თითქოს ავათ ყოფილან ⁄ ასლა გამობრუნებულანო, ისე ძლივს დალაცლაცებდნენ, ყველანი ბურს თხოულობდნენ, ყოველს ალაგს შიმშილისაგან დაოსებულები ეყარნენ ⁄ ზოგნი რა ველარ მისულიყო, სადაც მისვლა ნდომებოდა, იქავე გზაში წაქცეულიყო. ბევრნი იხვეწებოდნენ ემუშავებინათ, ფასი არ უნდოდათ, მხოლოდ ბური ეჭმიათ.

რომ კარგად დაღამდა, მიველი წისქვილში, რომელიცა იქავე ქალაქის ბირში იყო ⁄ საიდამაც სინათლის შუქი გამოდიოდა, ფანჯარაში რო მიველ ⁄ შევიხედე, ვნახე სამნი კაცნი ისხდნენ,—კარი რომ დავა-

რასუნე, არცკი გამიღეს ⸗ შიგნითგანვე დამიწეს ლანძღვა: წადი ვიღაც ოხერი სარ, აქედან დაგვეკარგეო! რომ ვნახე ჩემი საქმე ცუდ მდგომარეობაში იყო, დაუწეე სვეწნა: ღუთის გულისათჳს მომისმინეთ, შიმშილითა ვკუდები, ფერდები შემიცვივდა, კარგად იცით მშიერს კაცს არავისი ⸗ არაფრისა არ ეშინიან; ან ცოტა ფქვილი მომეცით, ან ერთი ლუკმა გამამცხვარი პური გექნებათ ისა, თუ არა ⸗, თოფი გატენილი მაქუს, ამ ფანჯრითგან გესვრით მეთქი! იმათ ეს ძრიელ შეეშინდათ ⸗ ნახევარ ფუთი ფქვილი მამცეს,—მე მაშინათვე ტეისკენ გავსწიე, ავანთე ცეცხლი, ხმიადები გამოვაცხე ⸗ მგელსავით დავაფრინდი. რა ცოტათი მოვისვენე, ავდექი, ისევე ქალაქში მიველი ⸗ მივადექი ერთს შემძლებელს ბეგს, რომელსაცა ვიცნობდი ⸗ პურს დავესესხე,—იმან უარი მითხრა. ისევე დავბრუნდი ტეეში ⸗ მივეცი ღრმა ფიქრსა, ოუ რა მექნა ⸗ რა მომესერხებინა? მინდოდა ჩავსაფრებულიეავი სადმე შარა გზის პირსა, რომ გამოიელიდა პურის საპალნის ქარვანი, წამერთმიეა, გამეცარცვა, მაგრამ რას გავაწეობდი, მარტო ერთი კაცი; ამსანაგი მე არა მეეანდა: მაინც ამის მეტი გზა ⸗ ჩარა არა მქონდა, გამოველი შარა გზაზედ, ვნახე, სამი შეიარაღებული ეიზილბაშები ცხენებით მოდიოდნენ. უცებ ამათ წინ ვისკუპე რა გამოვარდი ტეითგან ⸗ შეუევირე: დადექით მეთქი! დადექით ახლავე, თორემ აგერ აი იმ ტეითგან, ჩემი ამსანაგების თოფები თქუფნკე გამომიზნებულია ⸗ სამთავე ეათლა-

ნს გისამთ მედქი! ახლავე ჩამოსედით ცხენებითკან! — იმათ ჯერ ერთმანეთს შესედეს, შეეშინდათ ძრიელ ! მერე დამმორჩილდნენ. მე მაშინათვე უბძანე, აეყარათ იარაღი ! ერთს ალაგს დაუწყოთ, მერე თითონვე ერთმანეთისათჯს ყელები მაგრად შეეკრათ. ერთმა კაცმა, თავის ორ ამხანაგს მაგრად შეუკრა ყელები; იმ მესამეს კი მე თითონ შეუკარი, რა დავსინჯე, კარგად ჭქონდათ ყელები შეკრული თუ არა, ავიღე იმათი იარაღები, მოვავლე ცხენების აღვირს ყელი, ესენიც ყელებ შეკრულები წინ გავირეკე ! შევიყვანე ტყეში. რომ კარგად შორს, ერუ ალაგს მივიყვანე, ცხენები ხუსედ მივაბი ! ეიზილბაშებს უბძანე დამსხდარიყვნენ. იმათ მკითხეს მაშინ, შენი ამხანაგები, რომ გვეუბნებოდი, სად არიანო? მე უპასუხე, თითონ თქუენნა სართ მეთქი, ამისათჯს რომ მე მარტო ყელი კაცი ვარ მეთქი; ახლა რადგანაც ტყეედა მყევსართ, უნდა ჩემი ამხანაგები შეიქნეთ ! ერთად ვითულოთ მეთქი. იმათ მომიგეს, ჩუენ ქალაქში მივაცილეთ ჩუენი ბატონი, ! ახლა შინისკენ დავბრუნდითო, მაგრამ შენ ისეთს ოინს მოგვიხველი ! ისე შეგვარცხვინე ერთმა კაცმა სამი კაცი, რომ ასე თავს ლაფ დასხმული ჩუენებურებს რაღა ნამუსით ვეჩვენებითო. მაგრამ ესეც უნდა გითხრათ, თულობა ჩუენი ყელობა არ არის ! შენთან ეოფნა არ შეგვიძლიანო; მხოლოდ ეს სიკეთე გვიყავი, რომ ესე გაუნამუსოებული შინ ვეღარ მივალთ, აიღე ეგ ჩუენი სანჯალი ! თითო თითოდ ყელები დაგვჭერიო, თუ შენ

არ დავეგზრი, ნება მოგვეცი, ერთმანეთს ჩუჭნ თითონ დავეგზრითო. მე უპასუხე: მაგას ვერა ვიქ, ამისათჳს რომ მე თითონ ავაზაკი ჯ მცრცვნელი არა ვარ მეთქი; მხოლოდ მე მინდა გამოვისსნა შიმშილით სიკუდილისაგან როგორც ჩემი თავი, ისე ზოგნი ერთნი სხუანიცა მეთქი, რადგანც არც ჩემა ნათესავებმა ჯ არც მდიდრებმა არ გამიკითხეს მეთქი. მერე ავიღე ჯ ველები დაუსხენი, ის თოფ-იარაღიც დაუბრუნე, ცხენებზედ შევსვი ჯ გავისტუმრე. მეც რა მოვშორდი იმათ, მივეგდე იმ ღამეს ერთის ხის ძირას ჯ მინდოდა დამეძინა, მაგრამ მშიერს კაცს რა ეშმაკი დააძინებდა.

როდესაც გათენდა, ოთხივე კუთხითგან ტყეში შტვენის ხმა შემოესმა,—ეს ხმები თან ჯ თან ახლოვდებოდა. მე ეური კარგად დაუგდე: უცებ დავინახე ერთი კაცი, რომელიცა ხეებითგან გამოვარდა, იმან ჯერ აქეთ იქით მიიხედა ჯ მერე მითხრა სიფრთხილით: შენ გემებენო, გუშინ სამ ჩუჭნებურს ეიზილბაშს დახვედრისარ, დაგიტეეებია, ახლა უნდა დაგიჭირონ ჯ ჩქარა თავს უშველეო! რა მადლობა უთხარი იმ კაცსა, შეველ სადაც ხშირი ხეები იყო, მოვძებნე ხშირად შეფოთლილი ერთი მაღალი ხე, ზედ აველი ჯ ფოთლებში ერთს კენწერზედ შევსვიე. ამის შემდეგომს დიდს ხანს არ გაუვლია, შტვენის ხმა უფრო ახლო მოვიდა, მერე ვნახე რომ რამდენძაე შეიარაღებულმა კაცებმა ჩემ ქუჭშ გაიფთრებულებმა გაიარეს. მრთელი დღე იმ ხეზედ შესკუპებული ვიყავი, იმ ღამესაც იქ გავათენე. როდესაც

გაოცდა ჯ ძირს ჩამოვდგი ფეხი, უცებ წინ გამირბინა მელამ ჯ გავარდა შარაგზისაკენ, ეს რაღაც ბედს მოასწავებდა ჩემთჳს ჯ მეც უკან მივეეკი, ამასობაში შარას გზაზედ გაველი ჯ წავაწედი აქლემების ქარვანსა. აქ ბევრს აღარ დავფიქრდი ჯ მაშინათვე შეუეკირე ბრძანებითის სმით: ახლავე შედექით მეთქი! ქარვანი ფიცხლავე შედგა.

ეს ის დროება იეო, როდესაც რომ იმ მსარეზედ ერთი განთქმული ეაჩაღი დაიარებოდა, რომელსაცა ერქვა მულლა ნურ. იმის გამბედაობას ჯ შეუპოვრობას ეველანი იკჳრვიდნენ ჯ ეველას ეშინოდათ.—რომ შეუეკირე ჯ შედგნენ ეს მექარვანები, მე გამოუცხადე: მულლა ნურის იასაული ვარ, გზის ქირა უნდა მოგვცეთ ჯ რამდენი კაცნი ხართ მეთქი? თითო კაცზედ თითო მანეთი უნდა გადაიხადოთ მეთქი. ისინი ეველაფერზედ თანახმანი შეიქმნენ, მაგრამ მითხრეს: ფული ახლა არა გვაქჳს, ქალაქში ჰური მიგვაქჳს გასასყიდად, როდესაც დავბრუნდებით, ჰაციოსან სიტეუჳას გაძლევთ წმინდად გაგისწორდებითო. ამასობაში ოც ჯ ათი კაცი გარს შემამესვია, ერთმა იმათგანმა მაღალ-მაღალმა კაცმა დაიძახა; რას უეურებთ, ან რისა გეშინიანთ; შეკარით მაგრა ჯ ქალაქში ჩავიეანოთო! ეს რომ სთქჳა, ვეძეერე იმ კაცსა ჯ რა სანჯალი შემოვკარი, დავჭერი. იმათ შეუმახე, აგერ იმ ტეითგან ორმოცი კაცი, რომელნიც მიმალულები არიან ხეებთან, ორმოცი თოფის ტუჩები აქეთ იეურებიან ჯ ვერც ერთი ცოცხალი აქედან ვერ

წავა მეოქი; ჯ ვინც წავა, მულლა ნური კარგად იცით, ქვეშკნეშიაც რომ ჩავიდეს, იქიდანაც ამოათრევს ჯ გადასხდევინებს მეოქი. ეს რომ ვთქვი, გადავჭერი თოკი ერთს აქლემს, სხუა ქარვანს მოვაშორე ჯ ტეისაკენ შევიუვანე ეს აქლემი, სამი საცალო ბურით დატვირთული, ჩემს ბედობასედ მალიან ნისლიანი დღე იყო ჯ მალე მიეეფარე ტეის სიღრმეში,—შორითგან იმ მექარვანეების ყაყანი მესმოდა. ეს აქლემი დატვირთული მიმყვანდა, არსად არ შეემდგარვარ, ბირ ჯ ბირ ჩუწნ სოფელს გადასიხორაში, მიველი ბიმა ჩემთან იმ დამეს შუა ღამისას, უთხარი ეს ბური მოესმარნათ სახლში ჩუმად, ჯ ეს აქლემი გაეგდო სადმე შორს. ერთს კვირას სახლში ვიყავი, სადაცა მყვანდნენ დები, ძმა ჯ ბიმა სასლობით. ამ ერთ კვირას, ვინც კი ვინ იყვნენ ჩუწნ სოფელში ღარიბები ყველას ჩუმ ჩემათ ბურს ვაძლევდი ჯ ვაძღობდი ასე, რომ სულები მოუბრრნე. ჩემი სასლობაც მაძღარი მყვანდა. ორი დღის შემდგომს მრაგალმა სოფელმა შეიტყო, რომ ბური ბევრი გვქონდა ჯ მშიერნი მომიცვივდნენ, რასაკვრველია არც ერთს არ გაუშვებდი ჯ ყველას მივცემდი. ერთი კვირა ჯერ არ შესრულებულიყო, რომ ბური გამოლევასედ მიდგა. მე მაშინათვე გავწიე ისევ იმ ალაგისაკენ, სადაც სასრდო ვიშოვნე.

ორი დღე გსის ბირს ტეეში მიმალული ვიყავი ჯ იქითგან ვათვალიერებდი ვინც გამოიკლიდა. მესამეს დღეს გამოიარა სპარსეთის საქონელმა, გაველი ჯ წინ გადა-

ველობე,— ჯერ გამარჯობა უთხარი იმათ თავ კაცსა, მოვიკითხე ჯ მულლა ნურის საველით მოვითხოვე ხარკი. იმან მაშინათვე, უთქმელად მომცა, ხუთი ოქრო ჯ რამდენიმე თოფი საკაბე მოვები. ამასთანავე დამაბარა, თქუჩ̌ნს ადას მულლა ნურს ჩემს მაგიერ მოკითხვა მოახსენე, სთხოვე არ დაგვიგვიწ̌ეოს ჯ ბრძანდებოდეს მწ̌ალობელიო. ისინი წ̌ავიდნენ თავიანთ გზაზედ, მე შეველი ტ̌ეეში. სამი საათის შემდეგომს შემომესმა გზითგან ხმიანობა ჯ გამოველი სიბრთხილით, იქ გზაზედ ვნახე ერთი დატვირთული საქონელით ურემი, რომელსაც წ̌ინ მოუძღოდა ჩინებულს მდიდარ თოფ-იარაღში ჩასხმული კაცი. მე მაშინვე ნიშნებით ვიცანი, რომ ის იყო გათქმული ეაჩადი მულლა ნური, მე მიუახლოვდი ჯ დაუწ̌ეე ცნობის მოეუარეობით სინჯვა. რა შემომხედა, შემაძეგირა: რას მიეურებ, რა არ გინახავსო! დაიკარგე აქედანაო! მე ეს ძალიან შეურაცხებად მივიღე, ამასთანავე მე მულლა ნური მეჩ̌ვენა ბორ̌ოტ̌ კაცად,—ისა ცრ̌ცვნიდა მგზავრებს ანგარების მოეეარეობით ჯ ვიეიქრ̌ე: მე ამას ადვილად მოვერ̌ევი მეთქი! ერთი იყო ჯ უეორ ადვილად შემეძლო. ეაჩადი მაშინათვე მიმიხვდა, ამისათჯს რომ ჩავაჩ̌ერ̌დი თვალებში, მოჭ̌ეიდა ველი ხანჯალსა ჯ უთხრა მგზავრებს: „ხომ ხედავთ რა ამხანაგები მევანანო? ჩემი ამხანაგები ისეთები არიანო, რომ სადაც არის ჯ არ არის, მიწ̌ითგან გაჩ̌ნდებიანო, ეს ჩემი ძმა არის რომელიც ჩემზედ მეტი ვაჟკაციაო.“ იმავე მინუტს შემომხედა მე ალერ̌სით ჯ

ისე მანიშნა ელვასავით, რომ ვერავინ მისვდა. მაშინათვე რომ მივხვდი, სანჯალს ველი მოვაშორე, იმას მისცეს ხარკი ⸗ გაუშვა ურემი. ეს რომ გათავდა, მოვიდა ჩემთან ⸗ რა მამცა ველი მითხრა: „გამარჯობა შენი ძმაო ⸗ ამსანაგო, მითხარი შენი საველი ⸗ გვარიო.“ მე მაშინათვე უთხარი.—გიცნობ მეო, მითხრა იმან, შენი ანბავი შემიტყვიაო. მეც გიცნობ მეთქი, უთხარი მე, ⸗ შენის საველით ხარკიც მომიკრეფია მეთქი. მაშ წელან რაც უთხარი მგზავრებს, მართალი უთხარიო; მაშ ჩუენ ამსანაგები ვართო. ამ დროს ერთი თოფიარაღიანი ცხენოსანი კიდევ მოვიდა ⸗ მე შევნიშნე რომ მულლა ნურ იმას ისე ექცეოდა, როგორც მოსამსახურესა. მერე გაგზავნა ის სადილის მოსამზადებლად დანიშნულს ალაგს ⸗ რა ეჩვენა ჩემზედ უთხრა: დღეს მე სადილად ძვირფასი სტუმარი მყავსო. სამი საათის შემდგომს, გავველით შეჯუფულ ტეის იქით, ჰატარა მწვანე ველზედ, სადაცა სუფრა გაშლილი იყო ⸗ კარგად შევექცეთ. ბოლოს, მულლა ნურ გამოეთხოვა, მითხრა ერთმანეთს კიდევა ვნახავთო ⸗ წავიდა.

სამი დღე ტეეში ვიარებოდი, მეოთხე დღეს გამოველი გზის ჰირას, სადაც შემხვდა კიდევ აქლემების ქარვანი. რა შევაუენე, მოვიკითხე ჰატრონი სარკის მოსაკრეფად, მაგრამ ჰატრონი იქ არ იყო, სულ მოჯამაგირეები იყვნენ, სულ ღარიბები, რომელთაც არაფერი ებადათ. როდესაც მე ძალას ვხმარობდი ⸗ არ უშვებდი წასულიყვნენ, იმათ მითხრეს: ამ ჩუენს ქარვანში

სამი ურია არის, რომელთაცა საქონელი აქუსთ ⸗ პატრონებიც თითონ არიანო, ფულებიცა აქუსთ ⸗ იმათ გამაართვიო. ურიები ამ ლაპარაკში აქლემებში ⸗ ცხენებში დამალულიუვნენ, მაგრამ მოვმებნეთ ⸗ ვიპოვნეთ, იმათ სარკი მოვთხოვე, მაგრამ შექნეს ფიცი ფული არა გვაქუსო, საქონელიც უბრალო გვაქუს ისე, რომ იმ ფასად არა ღირს რა სარკესაც ითხოვო, აიღეს ⸗ რამდენიმე შაგი ფული მომცეს. რადგანაც ასეა უთსარი მე, ეს გროშები წაიღეთ ⸗ ეგ უბრალო საქონელი მომეცით მეთქი. იმათ აღარ დავაცალე, მიველი ⸗ ორი საპალნიანი ცხენი გამოვიყვანე. მაშინ, ეს რომ ნახეს ურიებმა, მოთმინებითგან გამოვიდნენ, გულიც დაეწოთ, მომვარდნენ ⸗ ცხენებს მართმევდნენ, ის კი არ იცოდნენ, თუ ვისთანა ჭქონდათ საქმე. ერთს ისე დავკარი სანჯალი, რომ მკარი მოეწუვიტე, მეორეები გაიქცნენ. მე ეს ორი საპალნიანი ცხენი, ტეე-ტეე წავიყვანე ჩემს სოფელს გადასიხორისკენა.

გათენებამ მოატანა, დაბნელდა ძრიელ გასათენებლად, რა არის, არა ვინ მომეწიოს მეთქი, ვიარე უგზო უკვლოთ, დავკარგე გზა. ღუთის სანაბრობაზედ დავადექი ერთს ბილიკს, ამ ბილიკმა მატარა ⸗ გამიყვანა ერთს სოფელში, სადაცა ძაღლების ყეფის ხმაზედ, ერთს სახლითგან გამოვიდნენ საძნი კაცნი. მე იმათ უთხარი გზა დავკარგე, გთხოვ ცოტა გამატეოთ ⸗ გზა შაჩვენოთ მეთქი. იმათ ამისრულეს, ბურიც მაჯამეს ⸗ ღილა ადრიან შინ მიველი, ჩემი სახლეულობისათჯს

ნათქვამი მქონდა, მშიერისათჳს ჰური არ დაეჭირათ, ვინც უნდა ეოფილიეო, ჱ ამისათჳს რა სულ დაერიგებინათ ჰური, ისევე დიდს შეჭირვებაში შესულიეენ თითონ. ეს საქონელი, სულ ბიძა ჩემს ჩავაბარე, უთხარი მაშინათვე ეეიდნა საჭმელი. იმ დღითგან, კიდევ მომხიარულდა ჩემი ოჯახობა, ეოველ დღე ლხინი იეო, ოთხ კუთხივ ღარიბი მშიერი ხალხი მოდიოდა ჱ ძღებოდა.

რომ როგორმე მოგვეშორებინა ეს ორი ცხენი, ძალიან იაფათ გვინდოდა მიგვეეიდნა ერთის მგზავრისათჳს, იმან ვერ გაბედა, არ ვიცი რა მიზეზით. ერ ჩუჩნი სტუმართაგანი ღარიბი, რომელიცა ეოველ-დღე ძღებოდა ჩუჩნთან, რა დაევიწუებინა ჰურ-მარილი, მისულიეო უუბაში, იქ მოედო მრთელი ქალაქი ჱ ეველასთჳს შეეტეობინებინა ჩუჩნი ანბავი. ურიეები დაჰჰირებოდნენ ფულს, ოღონდა გვაჩვენე ის ცხენებიო. მეორე დღეს ბიძა ჩემს კარს მოადგნენ ეაზასები, თან მოჰყვნენ ურიები. ბიძა ჩემა ეს ანბავი ჩუმათ მაშინათვე შემატეობინა, მე ეს ცხენები მაშინათვე ტეისკენ გავრეკე, იმათ მაგიერ, მოვასხი მეზობლის ორი ცხენი.

(ზოგი მერე იქნება.)

1871 წელსა:

„ცისკრის“ დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზავნით, 8 მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიას ხიდზედ, მირზოევის შენობაში, მარტირუზიანის სტამბაში. ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს ან თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის“ რედაქტორს ი. კერესელიძეს, ტფილისში.

Дозволено Цензурою 1871 г. 15 Іюля.